პროლეტარიელებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 1952 წ. № 38 (9198). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გაზეთებისა და ჟურნალების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — „პრავდის“ 13-II მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა ამხანაგ მაო ძე-დუნისადმი და მაო ძე-დუნის პასუხი სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ა. ვიშინსკის დეპეშა ამხანაგ ჯოუ ენ-ლაისადმი და ჯოუ ენ-ლაის პასუხი ვიშინსკისადმი (1-ლი გვერდი).

სახელოვანი თარიღების შესახვედრად (1-ლი გვერდი).

კ. სიხარულიძე — მეტი ორგანიზებულობისათვის პარტიულ სწავლებაში (მე-2 გვერდი).

სტალინირის საქალაქო პარტიული აქტივის კრება (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობა (მე-2 გვერდი).

კოლექტიური სტახანოვური შრომის საწარმო (მე-3 გვერდი).

აკ. ჩავლეიშვილი — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სალაბორატორიო ერთობა (მე-3 გვერდი).

ხულოს სახელმწიფო თეატრში მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გაზეთებისა და ჟურნალების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

ჩვენს ქვეყანაში წიგნი ხალხის კუთვნილება გახდა, იგი დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში, როგორც მათი საიმედო მეგობარი და მრჩეველი, სოციალისტური კულტურის გამტარებელი. საბჭოთა წიგნს მასებში მიაქვს ცოდნა და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

წიგნისადმი ხალხის უფართოესი მასების მზარდი ინტერესი, გამოშვებული წიგნების წლითიწლობით მზარდი რაოდენობა უფრო სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს პერიოდულ პრესას, მათ შორის ადგილობრივ გაზეთებსა და ჟურნალებს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის გასაუმჯობესებლად.

ჩვენში სსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე გამოდის ლიტერატურა, რომელიც მართლად და ყოველმხრივ ასახავს კომუნიზმის გზით მიმავალი ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალფეროვან ცხოვრებასა და საქმეების სიდიადეს. გაზეთები და ჟურნალები ახალი წიგნების გამოსვლის, მათი შინაარსის შესახებ ცნობების მოთავსებით მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ თავიანთ ფურცლებს, შეძლებენ უფრო მკაფიოდ უჩვენონ კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის მიღწევები, წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების წარმატებები. კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის სწორად მოწყობილი განყოფილებანი დაეხმარებიან გაზეთებსა და ჟურნალებს საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საპატიო ამოცანის შესრულებაში.

ჩვენი პრესა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მასალების გამოქვეყნებით ასრულებს საბჭოთა წიგნის პროპაგანდისტის როლს, ორიენტაციას აძლევს ავტორებსა და გამომცემლობათა მუშაკებს შექმნან მაღალი ხარისხის წიგნები, ეხმარება მკითხველს მოძებნოს საჭირო ლიტერატურა. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია პროპაგანდისა და კომუნისტური აღზრდის სერიოზული იარაღია.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაზეთებმა და ჟურნალებმა შესამჩნევად გააძლიერეს კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა. ამას მოწმობს კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიების რაოდენობის ზრდა. საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, 1946 წელს პერიოდულ პრესაში რეცენზირებული იყო 2.744 წიგნი და სტატია, ხოლო 1951 წელს — 6.207 წიგნი და სტატია. კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიები უფრო კვალიფიციური ხდება, მათში უკეთ შუქდება კარგი წიგნების ღირსება, საფუძვლიანი ანალიზი უკეთდება უხეირო წიგნების ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. მაგალითად, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებს უფრო რეგულარულად ბეჭდავენ ადგილობრივი გაზეთები „ცისნია“, „ტიხოოკეანსკაია ზვეზდა“, „გორკოვსკაია პრავდა“ და ზოგიერთი სხვა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობის მოწყობაში ბევრი გაზეთისა და ჟურნალის რედაქციებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ.

ცნობილია, რომ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთები რეგულარულად უნდა ბეჭდავდნენ წიგნების სარეკომენდაციო სიებს და სტატიებს ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფდნენ ადგილობრივ გამომცემლობათა მთელი ლიტერატურის რეცენზირებას. კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიაზე სისტემატურად და გულმოდგინედ უნდა მუშაობდნენ ადგილობრივი პარტიული, აგრეთვე მეცნიერული, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები.

მაგრამ ბევრმა ადგილობრივმა გაზეთმა და ჟურნალმა ვერ მოაწყო რეგულარული სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია, ადგილობრივ გამომცემლობათა ძალიან ცოტა წიგნს უკეთებს რეცენზიას, საკმაოდ არ ბეჭდავს სტატიებს ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ. რამდენიმე ხნის წინათ გაკრიტიკებულ იქნა გაზეთი „პრავდა ვოსტოკა“ იმისათვის, რომ იგი შეფასებას არ აძლევდა ახალ წიგნებს, განსაკუთრებით ადგილობრივი ავტორების წიგნებს. ამ უკანასკნელ დროს გაზეთი ასწორებს თავის ნაკლოვანებებს, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიაზე ტაჯიკეთის სს რესპუბლიკური გაზეთები. რესპუბლიკაში ასობით წიგნი გამოდის წელიწადში, გაზეთის ფურცლებზე კი შეფასებულია მხოლოდ ერთეულები. სუსტია ლიტერატურის რეცენზირება ჟურნალში „ბოლშევიკ უკრაინი“.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი პრესის ყველა რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანო სისტემატურად მუშაობდეს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ეს დიდმნიშვნელოვანი განყოფილება ხელს უწყობდეს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის გამოცოცხლებას, წიგნების იდეური, მეცნიერული, მხატვრული დონის ამაღლებას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ლიტერატურის როლის გაძლიერებას.

მთელი სიმკვეთრით უნდა გაესვას ხაზი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიების ხარისხის ამაღლების ამოცანას. გაზეთებსა და ჟურნალებში ცოტა როდი იბეჭდება ისეთი სტატიები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს. წიგნების ღრმა ანალიზს ხშირად ცვლიან ცალკეული უხეირო ფრაზებისა და გამოთქმების, უმნიშვნელო შეცდომების კრიტიკით, რომლებიც ვერ განსაზღვრავენ მთლიანად ნაწარმოების შინაარსს. კრიტიკულ სტატიებში ვხვდებით დაუსაბუთებელ ბრალდებებს და ავტორის უხეშ დატუქსვასაც კი.

ამას წინათ მკითხველებმა აცნობეს „პრავდას“, რომ როსტოვის გაზეთი „მოლოტი“ ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა შესახებ ზოგიერთ სტატიაში მცდარ პოზიციებზე დგება, იყენებს ზერელე კრიტიკის დიდი ხნის წინათ დაგმობილ მეთოდებს.

ისეც ხდება, რომ გაზეთი არ გაერკვევა საქმის არსში, ჯერ აქებს ამა თუ იმ წიგნს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ცვლის თავის შეფასებას, მკაცრად აკრიტიკებს იმავე წიგნს. ეს იმიტომ ხდება, რომ რედაქციები საკმაოდ ღრმად არ სწავლობენ წიგნებს, მათს შეფასებას ანდობენ სუსტად მომზადებულ, ხოლო ზოგჯერ შემთხვევით ადამიანებსაც კი.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების მთავარი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით აამაღლონ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიების იდეური და ლიტერატურული დონე, მთავარი ყურადღება მიაქციონ ლიტერატურაში ყოველივე მოწინავის მხარდაჭერასა და პროპაგანდას, აპოლიტიკურობისა და უიდეობის წინააღმდეგ, უცხო იდეოლოგიის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის მთელ მუშაობაში, თვითეული წიგნის შეფასებაში გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რაც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს — კომუნისტური პარტიის პოლიტიკით. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს პრინციპული, უნდა უზრუნველყოფდეს ნაწარმოებთა ღრმა ანალიზს, ხელს უწყობდეს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლას.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შემდგომი გაუმჯობესება აუცილებლად აყენებს კრიტიკოსთა კადრების, მათთან მუშაობის, მათი აღზრდის საკითხს. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა არ უნდა შეანელონ ყურადღება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო, საცნობარო ლიტერატურისადმი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თარგმანის ხარისხი, მთარგმნელთა მუშაობა.

ბუნებრივია, რომ ცოდნის ყველა დარგის წიგნების კვალიფიციური რეცენზირება გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ დაეყრდნობიან ავტორთა მრავალრიცხოვან აქტივს მეცნიერ მუშაკთაგან, ადგილობრივ მწერალთაგან, ინტელიგენციის ფართო წრეებიდან, წარმოების ნოვატორთაგან. ბევრი გაზეთისა და ჟურნალის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ რედაქციებმა ვერ შექმნეს ავტორთა ფართო აქტივი.

საჭიროა განუწყვეტლივ ვზრდიდეთ კრიტიკოსთა კადრები, სისტემატურად ვიმუშაოთ მათთან, მივაღწიოთ მათი ლიტერატურული ოსტატობის ამაღლებას. აგრეთვე მიზანშეწონილია ფართოდ შემოვიღოთ პრაქტიკაში წიგნების შესახებ მკითხველთა წერილების, მკითხველთა კონფერენციების შესახებ მასალების, ლიტერატურის თემატური მიმოხილვების, ახალი წიგნების სარეკომენდაციო სიების ბეჭდვა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია დიდი მნიშვნელობის საქმეა. იდეოლოგიური მუშაობის ამ საბრძოლო უბანს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. მათი მოვალეობაა იქონიონ წარმართონ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების მუშაკთა ღონისძიებანი, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესდეს კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამაღლდის მისი როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

„პრავდის“ 13/II მოწინავე

დეპეშა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

პეკინი

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო მიიღეთ, ამხ. თავმჯდომარე, ჩემი გულითადი მოლოცვა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების სურვილი.

ი. სტალინი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა და მხურვალედ მივულოცო დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ.

ჩვენ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ორი წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეთანხმებების სულისკვეთებით, მხურვალე და უანგარო მხარდაჭერას უწევდნენ ჩინეთის მთავრობას და ჩინელ ხალხს, რაც დიდად დაეხმარა ახალი ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას და სახელმწიფოს განმტკიცებას.

ჩვენ მივესალმებით ჩინელი და საბჭოთა ხალხების დღითიდღე მზარდ დიდ მეგობრობას. ჩინეთისა და სსრ კავშირის ძლიერი კავშირი უძლეველი ძალა და მტკიცე გარანტიაა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის ბრძოლაში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დიადი საქმის დაცვაში გამარჯვების გარანტიაა.

გაუმარჯოს ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და ერთიანობას!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი

1952 წლის 11 თებერვალი, ქალაქი პეკინი

დეპეშა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

გულითადად გილოცავთ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების მეორე წლისთავს, ხელშეკრულებისა, რომელიც უდიდესი წვლილია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების საქმეში.

ა. ვიშინსკი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ა. ი. ვიშინსკის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა და სურვილები, რომ ჩინეთისა და სსრ კავშირის დიადი მეგობრობა დღითიდღე მტკიცდებოდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის დაცვაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი

1952 წლის 11 თებერვალი, ქალაქი პეკინი

სახელოვანი თარიღების შესახვედრად

★ ★ ★ ★

შრომითი აღმავლობა გორის ბამბეულის კომბინატში

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სიამაყეს — გორის ბამბეულის კომბინატს წელს მარშანდელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდებული გეგმა მიეცა. 5-ჯერ იზრდება ნართისა და 18-ჯერ ქსოვილის გამოშვება.

ამ საწარმოო დავალების გასაღიდებლად კომბინატის საამქროებში ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე თავდადებული შრომა გაჩაღდა. ბრიგადები და ცვლები, ცალკეული მუშები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, ყოველდღიური გამომუშავების გასადიდებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

მაღალნაყოფიერი შრომით კომბინატის კოლექტივმა იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ქსოვილების გამოშვების დავალება შესრულებულია 107,4 პროცენტით, ნართის დამზადებისა — 104,5 პროცენტით.

წელს საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა სახამებელმა საამქრომ, რომელიც შარშან ჩამორჩებოდა. ახლა ამ საამქროს გამართულმა მუშაობამ მქსოველებს შეაძლებინა სამშობლოსათვის ათეულ ათასობით მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი მიეცათ.

კომბინატის კოლექტივის წინაშე წელს დიდი პასუხსაგები ამოცანა დგას. მას ევალება აითვისოს ახალი საწარმოო სიმძლავრეები და წლის ბოლოსათვის ნართის სადღეღამისო გამომუშავება აიყვანოს 10 ტონამდე, ხოლო ქსოვილებისა—50 ათას მეტრამდე. გარდა ამისა, 80 პროცენტამდე უნდა გაზარდოს პირველი ხარისხის ქსოვილის გამოშვება და 25 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

გორელი ფეიქრები სტახანოვურად მუშაობენ ამ ამოცანის შესასრულებლად.

გ. სამადალაშვილი

გორის ბამბეულის კომბინატის ინჟინერ-ეკონომისტი

ვაღდებულებებს სტახანოვურად ასრულებენ

ახალი სამეურნეო წლის პირველივე თვე თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნა. დაზგების გამოშვების იანვრის გეგმა შესრულებულია 138,5 პროცენტით. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა თვითღირებულება.

თებერვლის პირველი რიცხვებიდან ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. დაზგათმშენებლებმა იკისრეს თვიური დავალება 25 თებერვლისათვის შესასრულონ. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მექანიკური საამქრო, რომლის კოლექტივმა უკვე დაამთავრა თებერვალში გამოსაშვები ყველა დაზგის ძირითადი დეტალების მექანიკური დამუშავება.

მოწინავე მუშები სტახანოვურ ვახტზე დგანან და შეჯიბრების ყოველ დღეს ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ. ამწყობი ზეინკლები კომკავშირელი გ. გოდერძიშვილი, ო. გოგიჩაიშვილი, მრანდავი ვ. ვოლკოვი, ხარატი ი. გაბრიჩევი დღეში სამ-სამნახევარ ნორმას ასრულებენ. შიგამჩარხავი მ. ბოგდანოვი დაზგის წინა გეგმის კორპუსის გამოჩარხვაზე მუშაობს. მან უკვე გაანაღდა თებერვლის დავალება და ამჟამად პროდუქციას მარტის ანგარიშში უშვებს.

ახალგაზრდა სტახანოველები ო. სამადაშვილი და ზ. დელიბაშვილი პირველნი გამოეხმაურნენ მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდ ხარატების პატრიოტულ თაოსნობას თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ხარატმა ო. სამადაშვილმა სადაზგე დეტალების — დრეკადი რგოლისა და გამაწონასწორებლის გაჩარხვა დაიწყო ვიწროპირიანი საჭრისით. ამით ლითონის საგრძნობ ეკონომიას აღწევს. ვიწროპირიანი საჭრისის გამოყენება დაიწყო ზ. დელიბაშვილმაც, ამასთან საჭრისს სპეციალური სადები გაუკეთა. ხარატი დელიბაშვილი ბრინჯაოს ჭიაკბილანებს ამზადებს. წინათ ამ დეტალის გაჩარხვისას ძვირფასი ლითონის ნაჩარხი დაზგის გარშემო იფანტებოდა. ახალგაზრდა ნოვატორის მიერ საჭრისზე გაკეთებული სპეციალური სადები ნაჩარხს ამტვრევს, გაფანტვის საშუალებას არ აძლევს და დაზგის ქვეშ ყუთში აგროვებს. ამგვარად შეგროვებულ ბრინჯაოს ნაჩარხს სამსხმელო საამქრო ახალი სხმულის დასამზადებლად იყენებს.

დაიწყეს საზაფხულო ფეხსაცმლის შეკერვა

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკამ შარშანდელთან შედარებით წელს 45 პროცენტით მეტი ფეხსაცმელი უნდა დაამზადოს. მეფეხსაცმელეები ენერგიულად შეუდგნენ ბრძოლას ამ გადიდებული დავალების შესასრულებლად, იანვრის გეგმა 102 პროცენტით გაანაღდეს

ფაბრიკაში დიდი შრომითი აღმავლობაა საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. საამქროები, ბრიგადები და ცალკეული მუშები წარმატებით ასრულებენ სახელოვანი თარიღების აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

შეჯიბრებაში ყველაზე კარგ შედეგს ის საწარმოო უბანი აღწევს, რომელსაც მოწინავე ოსტატი ვ. ცოდელაშვილი ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება 95 პროცენტამდე აიყვანა. ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებს ვალდებულებას. გადამჭიმავები თ. ცერცვაძე და ს. არუთინოვი დღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ანაღდებენ.

ქალის ფეხსაცმლის საამქროში უკვე დაიწყეს საზაფხულო ფეხსაცმლის შეკერვა. აითვისეს და მასობრივად უშვებენ სამი ახალი ფასონის ფეხსაცმელს. უმოკლეს ხანში კიდევ 14 ახალი ფასონის ფეხსაცმელს აითვისებენ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილება

ულან-ბატორი, 12 თებერვალი. (საკდესი). გუშინ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც უაღრესად მხურვალე და გულითად მადლობას უძღვნიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ი. ბ. სტალინს მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, მხურვალე თანაგრძნობისა და მონაწილეობისათვის იმ დიდ მწუხარებაში, რაც მონღოლ ხალხს ეწია მონღოლი ხალხის საყვარელი ბელადის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ულან-ბაგორიდან წამოვიდა

ულან-ბატორი, 12 თებერვალი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან ამხანაგები მ. პ. ტარასოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, პ. ი. ლეონოვი, ი. კ. პრიხოდოვი და დ. ც. ცირემპილონი. დელეგაციამ გამოაცილა მარშალ ჩოიბალსანის ნეშტი მოსკოვიდან ულან-ბატორში და მონაწილეობა მიიღო მარშალ ჩოიბალსანის დაკრძალვაში. დელეგაცია გააცილეს მონღოლეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ცედენბალმა, მონღოლეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა დამბამ და სოსორბარამმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა სურუნჟაბმა, ლუბსანმა, მაიდარმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრებმა, მონღოლეთის არმიის გენერლებმა, განსვენებულ მარშალ ჩოიბალსანის მეუღლემ გუნტეგმამ, მისი ოჯახის წევრებმა, ულან-ბატორის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

დელეგაცია აგრეთვე გააცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ი. ივანიკოვმა, საბჭოთა საელჩოს წევრებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩებმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

გამგზავრების წინ საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ ინახულა მარშალ ჩოიბალსანის აკლდამა და პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი

18-დან 24 თებერვლამდე სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტრო მოსკოვში, ლენინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში აწყობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალს.

ფესტივალი გაიხსნება უნგრეთის ახალი მხატვრული ფილმით „კოლონია მიწის ქვეშ“, რომელიც შექმნა უნგრეთის სახელმწიფო კინოსტუდიის დრამატურგებისა და კინორეჟისორების კოლექტივმა 1951 წელს.

ეს ფილმი მოგვითხრობს უნგრეთის ნავთის მრეწველობის მუშათა სიფხიზლესა და გმირულ ბრძოლაზე იმ საბოტაჟისა და დივერსიების წინააღმდეგ, რასაც აწყობენ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი უნგრელი თანამონაწილეები—სამშობლოს მოღალატენი.

ფესტივალის დღეებში აჩვენებენ საბჭოთა მაყურებლისათვის უკვე ცნობილ უნგრულ კინოფილმებს: „ღირსება და დიდება“, „კატალინა კიშის ბედნიერება“, „უცნაური ქორწინება“, „ქალი მიემგზავრება“, „იანიკა“, „ანა საბო“, „ერთი მტკაველი მიწა“, „ცეცხლი“, „მიშკა არისტოკრატი“.

კინოთეატრებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში, სადაც ფილმებს უჩვენებენ, ეწყობა გამოფენები, რომლებიც ასახავენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს. (საკდესი).

პლანერისტ ვ. ი. სიმონოვის საკავშირო რეკორდი

12 თებერვალს სსრ კავშირის ვ. ჰ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისიამ საკავშირო რეკორდად დამტკიცა მოსკოველი პლანერისტის ვ. ი. სიმონოვის მიღწევა.

სპორტსმენმა ვ. ი. სიმონოვმა 1.475 მეტრ სიმაღლეზე თვითმფრინავიდან პლანერის მოხსნის შემდეგ განაგრძო დამოუკიდებლად ფრენა და მიაღწია 6.375 მეტრ სიმაღლეს. ამით მან დამყარა სიმაღლეზე ფრენის საკავშირო რეკორდი. (საკდესი).

სტალინირის საქალაქო პარტიული აქტივის კრება

სტალინირი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ხარებოვის მოხსენება სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში საქალაქო პარტორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქის ცალკეულ ორგანიზაციებში დღემდე სუსტად არის დაყენებული ბრძოლა სოციალისტური ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ, მთელი სისასტიკით არ ისჯებიან საბჭოთა კანონების დამრღვევნი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სავაჭრო ორგანიზაციებში. საქვაჭრობის სამხრეთ ოსეთის განყოფილებისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის ზოგიერთი მუშაკი იმის ნაცვლად, რომ შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადოს გამფლანგველებს, ქურდებს, თვითონ გამოდის მათი მფარველის როლში.

საბჭოთა კანონების დამრღვეველებს დიდი ხნის განმავლობაში მფარველობდა სტალინირის რაიონის პროკურორის თანაშემწე ნ. კუსრაევი. იგი სისტემატურად ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის ხელმძღვანელობა კოოპერაციაში სამუშაოდ ხშირად გზავნის დანაშაულის ჩადენისათვის ადრე დასჯილ პირებს.

მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები იმის ნათელსაყოფად, რომ პროკურატურის ორგანოები ხშირად აჭიანურებენ ბოროტმოქმედთა საქმის გამოძიებას.

ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციები არ იბრძვიან საბჭოთა კანონების დაცვისათვის. ასეთი მდგომარეობაა საქვაჭრობის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პირველადს პარტორგანიზაციაში. ამ პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი გ. ბოლათაევი თვითონ მფარველობდა სავაჭრო ქსელში შეპარულ გაიძვერებს.

ქალაქ სტალინირის სამხატვრო სასწავლებლის, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხელს უწყობენ უწესრიგობას, თვითონ არღვევენ საფინანსო დისციპლინას.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის პარტორგანიზაციის მდივანმა ნ. შაილოხოვმა აღნიშნა, რომ პარტიული კომიტეტები სავაჭრო ორგანიზაციებს არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან კვალიფიციური კადრებით სავაჭრო ქსელის დაკომპლექტებაში. მან საოლქო სამომხმარებლო კავშირის ქსელის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მთლიანად სხვას გადააბრალა და არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ იბრძვის პარტორგანიზაცია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ.

საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორმა ა. მამისაშვილმა გააკრიტიკა ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ პრესის სიგნალებს სათანადოდ არ ეხმაურებიან. მაგალითად, საოლქო გაზეთმა რამდენჯერმე დაბეჭდა მამხილებელი მასალები საქვაჭრობის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ქსელში მომხმარებელთა მოტყუებაზე და მთელ რიგ სხვა უწესრიგობაზე, მაგრამ საქვაჭრობის საოლქო განყოფილებამ, მისმა ხელმძღვანელმა ყ. პლიევამ უყურადღებოდ დატოვეს გაზეთის სიგნალები და ზომები არ მიიღეს ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. ასევე უსულგულოდ ეკიდებიან პრესის სიგნალებს ქალაქის პროკურატურის მუშაკები.

ოლქის პროკურორმა ელ. ცაბოლოვამ აღნიშნა, რომ ოლქის სასამართლოები სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ ზოგჯერ ლმობიერ გადაწყვეტილებას იღებენ. ასე მოხდა, მაგალითად, სტალინირისა და ლენინგორის რაიონების სამომხმარებლო კავშირებში მოკალათებულ წამგლეჯთა საქმეების გარჩევის დროს. სასამართლოებმა დამნაშავეთა მიმართ ლმობიერი განაჩენი გამოიტანეს. უნდა აღინიშნოს, რომ ელ. ცაბოლოვას გამოსვლა თვითკრიტიკული არ იყო. მან ზოგადად ილაპარაკა პროკურატურის მუშობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და თქვა, მუშაობის გაუმჯობესებაში ხელს ის გვიშლის, რომ პროკურატურის მუშაკები ახალგაზრდები არიანო.

როგორც მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ ე. გაბარაევმა განაცხადა, ბოროტმოქმედთა სათანადოდ დასჯას ისიც უშლის ხელს, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოების მუშაობაში დღემდე არ არსებობს მჭიდრო კონტაქტი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მოსამართლემ ქ. ძუკაევმა, საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ვ. გოლოევმა, სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგემ ლ. ხარებოვამ და სხვ.

აქტივის კრებამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

მოსკოვი. ნ. ვ. გოგოლის ხაფლავი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ფოტო მ. ალპერტისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად დიდ მუშაობას ეწევა თბილისის გარეუბნის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. აქ სისტემატურად იმართება ლექცია-მოხსენებები და საუბრები დიდი რუსი კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლებში მოწყობილია გოგოლის ნაწარმოებთა ლიტერატურული გამოფენები, გამოკრულია ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

რაიონის სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს განზრახვა აქვთ მოაწყონ ექსკურსიები საქართველოს თეატრალურ მუზეუმში გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ფოტოგამოფენების დასათვალიერებლად.

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი რუსი მწერლის — გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამოყოფილი საქალაქო კომისიის ინიციატივით რუსთავის საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, მუშათა საერთო საცხოვრებლების წითელ კუთხეებში და ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამჟამად მიმდინარეობს გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, ლექციები, მოხსენებები, ხოლო ბევრგან გახსნილია გამოფენები.

საქალაქო საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით 4 მარტს მეტალურგმშენის კლუბში გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო. კლუბთან არსებული დრამატული წრე ამ დღისათვის ამზადებს სცენებს გოგოლის პიესებიდან.

მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა და საღამოს პარტიული სკოლების მასწავლებელთა საოლქო სემინარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტმა მოაწყო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა და საღამოს პარტიული სკოლების მასწავლებელთა ხუთდღიანი საოლქო სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობას ეკონომიკის საკითხებზე.

სემინარული მეცადინეობა გაიმართა პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკის საკითხებზე.

დასასრულ სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. სულეიმანის ლექცია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობა

სარევიზიო კომისიას მეტად დიდი მოვალეობა აკისრია კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და გაძლიერების, კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლების საქმეში.

სარევიზიო კომისიამ სისტემატურად უნდა ადევნოს თვალყური კოლმეურნეობაში სამუშაოთა მიმდინარეობას, საწარმოო დავალებათა შესრულებას. იგი კარგად უნდა იცნობდეს ხვნა-თესვის, ნარგავ-ნათესების მოვლის, მოსავლის აღებისა და ფერმების მდგომარეობას. სარევიზიო კომისიამ ხშირად უნდა შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებს კოლმეურნეობა სახელმწიფო გეგმებს, დროზე და სწორად ერიცხება თუ არა კოლმეურნეებს შრომადღეები, სწორად ნაწილდება თუ არა მოსავალი და შემოსავალი, დროზე და სრულად რიგდება თუ არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ფული, ხომ არ გვიანდება შრომადღეებზე ანგარიშის გასწორება, როგორ ახდევინებენ ვალს კოლმეურნეობის მოვალეებს.

სარევიზიო კომისიის პირველი რიგის ამოცანაა ამხილოს და დაუზოგავად ებრძოლოს გაფლანგვებს, მოტყუებას, წამგლეჯობას, კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის დარღვევას.

სარევიზიო კომისია კოლმეურნეობაში უნდა იყოს არა უბრალო რეგისტრატორი და მომხდარი ფაქტის აღმრიცხველი, არამედ ყოველთვის ახერხებდეს თავიდან აიცილოს და აღკვეთოს დარღვევები, დამახინჯებანი, ბოროტმოქმედებანი. ამიტომ საჭიროა სარევიზიო კომისია მუშაობდეს მთელი წლის განმავლობაში და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, როგორ ასრულებენ სარევიზიო კომისიები თავიანთ მოვალეობას?

მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს. სოფელ მაღლაკში (წყალტუბოს რაიონი) გასული წლის თებერვალში 9 კოლმეურნეობა გაერთიანდა, რის შედეგადაც ცხადია, როგორც გამგეობის, ისე სარევიზიო კომისიის არჩევნებიც მოხდა. არჩევნებს რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიც ესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, არჩევნების წესი დაარღვიეს — სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არაკოლმეურნეები, წყალტუბოს მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში და ამავე მტს-ის უბნის აგრონომი აირჩიეს. არჩევნების დროს ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ კოლმეურნეობაში საკმაოდ ბევრია მომზადებული და მცოდნე მუშაკი, რომელთა ჩაბმა სარევიზიო კომისიის მუშობაში უფრო მიზანშეწონილი იყო.

როგორ მუშაობს ასეთი არჩევნების შედეგად შექმნილი კომისია? ნახევარ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში კომისიას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. პირველი რევიზია მხოლოდ 8 აგვისტოს მოხდა, მეორე — 13 ნოემბერს. მართალია, რევიზიის ჩატარებისას აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი, მაგრამ ამის შესახებ სარევიზიო კომისიას საკითხი რიგიანად არ დაუსვამს, გამგეობას და საერთო კრებასაც ამის შესახებ არ უმსჯელია. სარევიზიო კომისიას თავის ირგვლივ ვერა ჰყავს დარაზმული აქტივი, მას სამუშაო გეგმაც კი არ შეუდგენია.

სარევიზიო კომისია არ უნდა გადაიქცეს გამგეობის უბრალო დამხმარე აპარატად, იგი ვალდებულია მთელი მუშობა ისე წარმართოს, რომ არ იქნას დაშვებული საკოლმეურნეო წესდების დარღვევა, გეგმების შეუსრულებლობა. საკოლმეურნეო წესდებით სარევიზიო კომისიას ევალება წელიწადში ოთხჯერ მაინც მოახდინოს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია.

ეს მოვალეობა ვერ შეასრულა აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ გუმბრის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ. კომისიის წევრებად გასულ წელს აქ რატომღაც მხოლოდ ორი კაცი იყო არჩეული, ისიც მცირემცოდნენი. კოლმეურნეობაში არ სრულდება გეგმები, სისტემატურად ირღვევა შრომის დისციპლინა, ყოველივე ამას შეურიგდა სარევიზიო კომისია.

სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში მართალია სარევიზიო კომისიაში მომზადებული და უნარიანი მუშაკები შეარჩიეს, ჰაგრამ კომისია შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობდა. 1951 წელს რევიზია მხოლოდ ორჯერ მოახდინეს, პირველად 12 ივლისს, მეორედ კი—შემოდგომაზე. ასეთ მუშაობას, რა თქმა უნდა, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

მსგავსი ფაქტები გვხვდება მაიაკოვსკის რაიონშიც. სოფელ ფერსათის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო გეგმების შესრულებაში. მეტისმეტად დაბალია მარცვლეულის, ყურძნისა და სხვ. მოსავლიანობა. მეცხოველეობაშიც სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები შეუსრულებელია. არის პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები, სასუქების მოუვლელობისა და გამოუყენებლობის, მშენებლობის გაჭიანურებისა და ჩაშლის ფაქტები. აქაც სარევიზიო კომისიას ფაქტიურად თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, არ გამოუყენებია არსებული დიდი შესაძლებლობანი. ამიტომ სავსებით მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოლმეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი სარევიზიო კომისიის სუსტი მუშაობაც არის.

მოყვანილი ფაქტები იშვიათი გამონაკლისი როდია. ამოცანა ის არის, რომ არც ერთ კოლმეურნეობაში არ დაეუშვათ სარევიზიო კომისიის მუშაობის შეუფასებლობა და უმოქმედობა. ყველა კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისია უნდა მუშაობდეს სისტემატურად, წინასწარ შედგენილი გეგმით. თავისი მუშაობით იგი ხელს უნდა უწყობდეს კოლმეურნეობათა საშეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ძლიერების ზრდის საქმეს.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ბელქერის სახელობის კოლმეურნეობიდან

სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა მახარაძის რაიონში. კოლმეურნეობას აქვს ჩაის პლანტაცია—246 ჰექტარი, ციტრუსები—80,7, ტუნგო—54.

კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. დოლიძე) წამყვანი დარგია ჩაის კულტურა. მისგან მთელი ფულადი შემოსავლის 70-80 პროცენტს იღებენ. კოლმეურნეები საუკეთესოდ უვლიან ჩაის პლანტაციებს და წლითიწლობით ზრდიან მოსავლიანობას. გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარეს 611.640 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 603 ათასისა. კოლმეურნეერა მექვაბიშვილმა მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე 6.435 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა, მერი ჩხარტიშვილმა — 5.420 კილოგრამი, ნადია კანდელაკმა კი 4.874 კილოგრამი. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა ერთი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათასი ცალი მანდარინის ნაყოფი.

გასულ წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 7.530.346 მანეთს მიაღწია, თვითეულ კოლმეურნეს შრომადღეზე ხვდა 44 მანეთი და 1,8 კილოგრამი სიმინდი. კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. კოლმეურნე ბიქტორ ჩხარტიშვილის ოჯახმა 1.073 შრომადღე გამოიმუშავა, იგი მიიღებს 38.628 მანეთს და 1.904 კილოგრამ სიმინდს, ნიტიფო ჩხარტიშვილის ოჯახი გამომუშავებულ შრომადღეებზე 39.152 მანეთს და 1.958 კილოგრამ მარცვლეულს მიიღებს. ასეთი მაგალითი ბევრია.

ჯუმათელი კოლმეურნეები იბრძვიან კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის, მიმდინარე წელს უფრო უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

ვ. ჯაყელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება უნდა გაძლიერდეს

ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის საქმეში დაწინაურდა ქარელის მტს-ი. შეკეთებულია 10 ტრაქტორი, 15 სათესი, 20 კულტივატორი. რემონტი სწრაფად მიმდინარეობს რუისის მტს-შიც.

თესვისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებებიც. ნელი ტემპით წარმოებს ორგანული და მინერალური სასუქების გატანა რუისის, ურბნისის, ზღუდრის და ოქროსოფლის კოლმეურნეობებში. სასუქების გატანას აფერხებს ისიც, რომ უვარგისია სასუქების ქარელისა და აგარის პუნქტებში მისასვლელი გზები. მანქანები ლაფში ეფლობა.

ზღუდრის, არადეთის, აბუხალოს კოლმეურნეობებში არ ჩქარობენ სათესლე მასალის გაწმენდას.

ზოგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კარტოფილის თესლის მომზარდგებას. სოფელ ურბნისის კოლმეურნეობაში აკლიათ 25 ცენტნერი კარტოფილის თესლი. უკეთესი მდგომარეობა არც ავლევის, არადეთის, ღვლევის კოლმეურნეობებშია.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპი უნდა გაძლიერდეს.

ვ. ბურჯენიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პარტიულ თემაზე

მეგზი ორგანიზებულობისათვის პარტიულ სწავლებაში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშკებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, განსაზღვრავდა რა კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების ფორმებსა და მეთოდებს, აღნიშნავდა, რომ „კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითად მეთოდს უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკთა უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი ბოლშევიკური პარტიის ისტორიის და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა, ხოლო პარტია უნდა დაეხმაროს კადრებს ამ ძნელ პრესის საშუალებით და ცენტრალიზებული მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მოწყობით იმ საკითხებზე, რომლებიც მათს წინაშე წამოიჭრება შესწავლის პროცესში, დაეხმაროს ლექციების, მოხსენებების და სხვ. საშუალებით“.

პარტიის ამ მითითების განუხრელად განხორციელების შედეგად უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა კადრების ინტერესი თეორიის შესწავლისადმი, გადიდდა მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რიცხვი. პარტიული ორგანიზაციებიც უფრო უკეთესად ხელმძღვანელობენ და ყოველდღიურად ეხმარებიან კადრებს ჩვენი პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლაში.

მაგრამ კადრების პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში ყველგან კარგი მდგომარეობა როდია. ამიტომ უმართებულო და საზიანოც იქნება, თუ გვერდს ავუვლით. დროულად ვერ შეენიშნავთ იმ ნაკლოვანებებს, რაც ჯერ კიდევ არის ამ საქმეში, და არ ვიბრძოლებთ მათ აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომმა და რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში სერიოზული მუშაობა გასწიეს. დროულად დააკომპლექტეს წრეები და პოლიტსკოლები, წინასწარ შეისწავლეს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა მომზადების დონე, დაუზუსტეს მათი რაოდენობა. ადრევე შეარჩიეს და დაამტკიცეს პროპაგანდისტები და კონსულტანტები. ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას მიეძღვნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, რაიკომის პლენუმი, რაიონის პარტიული აქტივის კრება. კრებებზე, რომლებიც კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა, მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში წინა სასწავლო წელს დაშვებული შეცდომები, განსაკუთრებით ბევრი ითქვა მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. დაისახა სათანადო ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ, არ შეენელებინათ ხელმძღვანელობა პარტიული განათლებისადმი და უზრუნველეყოთ შეუფერხებელი მუშაობა მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

მაგრამ ასე არ მოხდა. რაიკომი და რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიული სწავლებისადმი, კერძოდ კი კადრების თვითგანათლებისადმი ხელმძღვანელობას კამპანიურად უდგნენ, სასწავლო წლის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეასუსტეს ყურადღება ამ საქმისადმი. სწორედ ამით უნდა ავხსნათ, რომ ამჟამად რაიონის მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში კომუნისტების დამოუკიდებლად სწავლება დაბალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს.

მაგალითად, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში (პარტბიუროს მდივანი მ. ჭანტურიძე) სასწავლო წლის დაწყების წინ 16 კომუნისტმა გამოთქვა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი. მათ სურვილს ანგარიში გაუწიეს, პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა ამ საკითხზე და მათ დასახმარებლად შეარჩია ორი კონსულტანტი. ამის შესახებ ეცნობა პარტიის რაიკომსაც. სინამდვილეში სასწავლო წლის დაწყებიდან მხოლოდ ერთი საკონსულტაციო ჯგუფი შეუდგა მუშაობას და თექვსმეტივე კომუნისტს ერთი კონსულტანტი უწევს დახმარება. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა, რომ დამოუკიდებლად მომუშავეთა ასეთი დიდი რაოდენობის ერთ კონსულტანტზე მიმაგრება დადებით შედეგს ვერ მოგვცემს. ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ ამის შემდეგ არავითარი ხელმძღვანელობა და დახმარება არ გაუწია დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. ამ სერიოზული საქმისადმი უყურადღებობამ და ფორმალურმა მიდგომამ ის გამოიწვია, რომ ფაბრიკაში ჩაშლილია კომუნისტების დამოუკიდებლად სწავლება. ინჟინერი ა. კუჭავა, რომელიც კონსულტანტად იყო გამოყოფილი, კარგა ხანია რაც ფაბრიკიდან წავიდა, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას მის მაგივრად არავინ არ შეურჩევია. ბევრი კომუნისტი არ მუშაობს თავისი იდეური მომზადების დონის ამაღლებისათვის, არ სწავლობს ჩვენი პარტიის ისტორიასა და თეორიას. მაგალითად, კომუნისტ ა. ფილოიანს, რომელიც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ირიცხება, მიმდინარე სასწავლო წელს მარქსიზმის კლასიკოსების არცერთი ნაშრომის შესწავლა არ დაუწყია. მას არც ინდივიდუალური მუშაობის გეგმა აქვს. — არც კი ვიცოდი, რომ დამოუკიდებლად მომუშავეებს გეგმა ესაჭიროებათ, — განაცხადა მან.

ფაბრიკის მთავარმა დისპეტჩერმა კომუნისტმა ფ. მშველიძემ სასწავლო წლის დაწყებისას წიგნზე დამოუკიდებლად მუშობის სურვილი განაცხადა. მისი სურვილი დაკმაყოფილეს. მაგრამ მან რამდენიმე თვის შემდეგ შეცვალა თავისი განზრახვა და მაღალი ტიპის წრეში ჩაერიცხა. ამჟამად აცხადებს, წრეში მეცადინეობას ვერ ვესწრები და ისევ დამოუკიდებლად მუშობას უნდა შევუდგეო. ამხ. მშველიძეს სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე თავისი თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად არაფერი გაუკეთებია.

ფაბრიკის მომარაგების განყოფილების უფროსს კომუნისტ გ. არუთინოვს და მექანიკოს ი. სიყმიშვილს, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ირიცხებიან, დღემდე არ დაუწყიათ მეცადინეობა. ამის მიზეზად არუთინოვი სამსახურებრივი საქმეებით დატვირთვას ასახელებს, ხოლო სიყმიშვილს ახლა მოაგონდა, რომ ვერ შეძლებს დამოუკიდებლად მუშობას და ისევ წრეში ჩარიცხვას მოითხოვს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ფორმალურად არიან ჩარიცხული და თავიანთი მომზადების დონეს არ იმაღლებენ ამ ფაბრიკის სხვა კომუნისტებიც.

ფაბრიკასთან არსებობს პარტიული კაბინეტი, მაგრამ მას ვერ იყენებენ პარტიული სწავლების ჯერ მოწყობისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს პარტიულ კაბინეტს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის ერთხელაც არ მოუწყვია ლექცია, მოხსენება, კონსულტაცია. პროპაგანდისტთა და პოლიტსკოლებისა და წრეების მსმენელთა დასახმარებლად ცალკე თემების მიხედვით არ ეწყობა ლიტერატურის გამოფენა. აქ ვერ ნახავთ ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების სარეკომენდაციო სიებს.

ამავე რაიონის შოკოლადის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ვ. აივაზაშვილი) 33 კომუნისტი ირიცხება. აქედან 12 კაცი პარტიული სწავლების არცერთ ფორმაში არ არის გაერთიანებული, ხოლო 7 კომუნისტი ფორმალურად ირიცხება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში. როგორც გამოირკვა, სასწავლო წლის დაწყებისას წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად პარტიის რაიკომს კონსულტანტად ფაბრიკის ყოფილი დირექტორი კ. ავაქოვი დაუმტკიცებია. მაგრამ გამოირკვა, რომ ამხ. ავაქოვს ერთხელაც არ მოუწყვია კონსულტაცია. ამასთან არცერთ დამოუკიდებლად მომუშავეს ინდივიდუალური მუშაობის გეგმა არა აქვს და არც დაუწყია მეცადინეობა.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკებმა განაცხადეს, რომ კომუნისტებიხ დამოუკიდებლად სწავლება შედარებით კარგად ქალალდის ფაბრიკაში არის დაყენებული. შემოწმებისას, სამწუხაროდ, სრულიად საწინააღმდეგო გამოირკვა. დამოუკიდებლად მომუშავეებს აქ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ. ამას პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ფ. კამკამიძე იმით ხსნის, რომ მათ დღემდე კონსულტანტი არ ჰყავდათ. პარტიის რაიკომის მუშაკები კი ამტკიცებდნენ, რომ კონსულტანტად შერჩეულია ფაბრიკის დირექტორი კ. ფურცელაძე. ფურცელაძეს ერთხელაც არ მოუწყვია კონსულტაცია. სინამდვილეში აქ კონსულტანტად ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლიდან დამტკიცებული ყოფილა ფაბრიკის ყოფილი დირექტორი ნანეიშვილი. ის ფაბრიკიდან 1951 წლის ივლისში წასულა, ხოლო ახალი კონსულტანტი არავის შეურჩევია. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები არაფერს აკეთებენ. არა აქვთ ინდივიდუალური მუშაობის გეგმა. ეს ფაქტი იმასაც მოწმობს, რომ პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ზოგიერთმა მუშაკმა არც კი იცის, თუ როგორ არის დაყენებული რაიონის ცალკე საწარმოებსა და დაწესებულებებში კომუნისტების დამოუკიდებლად სწავლება.

მართალია, პარტიის რაიკომი და დასახელებულ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხშირად იხილავენ პარტიული პროპაგანდის საკითხებს, თავიანთ კრებებსა და სხდომებზე მსჯელობენ კადრების პოლიტიკური თვითგანათლების უკეთ დაყენების შესახებ, გამოაქვთ დადგენილებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ ეწყობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ბოლომდე არ მიჰყვებიან დაწყებულ საქმეს, არ ამოწმებენ და არ ეხმარებიან კადრებს დამოუკიდებლად სწავლაში, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ პარტიულ განათლებას.

რაიონის ზოგიერთ საწარმოში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეები ძირითადად იმ წესითა და პროგრამით მეცადინეობენ, როგორითაც საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეების მსმენელები. მაგალითად, მაკარონის ფაბრიკაში (პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. ალადაშვილი) 13 კაცი ირიცხება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში. მათ დასახმარებლად 2 კონსულტანტია გამოყოფილი. აღნიშნული კონსულტანტები, როგორც წესი, კვირაში ერთხელ აგროვებენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს და „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკე თავების მიხედვით ატარებენ მეცადინეობას ისეთივე წესით, როგორც წრეებში. აქ იშვიათად ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეები „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკე თავების შესწავლისას არ იყენებენ დამატებით წყაროებს.

კადრების პოლიტიკური თვითგანათლების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე დაყენებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანას წარმატებით მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ, თუ საქმეს თვითდინებას არ მივანდობთ, არ დაეუშვებთ კამპანიურობას, უფრო კონკრეტულად ვუხელმძღვანელებთ და დავეხმარებით კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში.

კ. სიხარულიძე

კოლექტიური სვახანოვური შრომის საწარმო

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი 1950 წლის მესამე კვარტალიდან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებით ინარჩუნებს პირველ ადგილს და მტკიცედ ფლობს საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას.

ქარხანაში შარშან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2 მილიონი ქილა კონსერვი, 5,5 პროცენტით შემცირდა თვითღირებულება, რითაც დაიზოგა 500 ათასი მანეთი, ხოლო რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით მიღწეულია 840 ათასი მანეთის ეკონომია.

მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, ქარხნის წარმატებანი აიხსნება სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით. 1 თებერვალს ქარხნის მთელი კოლექტივი გადავიდა კოლექტიურ სტახანოვურ შრომაზე. კოლექტიური სტახანოვური შრომის პირველ დღეს ქარხანამ გეგმის გადამეტებით დაამზადა 2 ათასი ქილა კონსერვი, ხოლო მეორე დღეს, 2 თებერვალს — 5 ათასი ქილა. მიღწეულ იქნა საერთო ალმავლობა გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის და ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხარისხს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 პროცენტისა, გამოშვებულია 80 პროცენტი უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

რა გზით მიაღწია ამ წარმატებას საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა?

მრავალ ღონისძიებათა შორის, რაც განხორციელდა კოლექტიურ სტახანოვურ შრომაზე საწარმოს გადასასვლელად, დავასახელებთ მხოლოდ სამ ძირითადს:

პირველი. მთავარი ყურადღება მიექცა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას. შრომის სტახანოვური მეთოდების განზოგადებისათვის გარდა ტექნიკური წრეებისა, ინჟინერ-ტექნიკოსები შეფობას უწევენ შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მუშებს. მათ სპეციალისტები ეხმარებიან არა მარტო თეორიული მითითებებით, არამედ უშუალოდ პრაქტიკულ მუშაობაშიც. კადრების ტექნიკური აღზრდის საქმეში გათვალისწინებულ იქნა საწარმოს სპეციფიკური პირობებიც.

მეორე. რაც უნდა კვალიფიციური და სტახანოვური შრომის მეთოდებით აღჭურვილი იყოს მუშა, იგი ვერ შექმნის ზეგეგმითს პროდუქციას, თუ სამუშაო ადგილი კარგად არა აქვს მომზადებული და მაღალნაყოფიერი შრომისათვის ყველა პირობა არა აქვს შექმნილი. ქარხნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა კარგად გაითვალისწინეს ეს მნიშვნელოვანი საკითხი და თვითეულ მუშას მეუქმნეს პირობები მისი შემოქმედებითი უნარის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ქარხნის დირექტორთან სადისპეტჩერო თათბირზე ყოველდღე ირკვევა, თუ მეორე დღეს ესა თუ ის ბრიგადა რა ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებაზე იმუშავებს; ამით მესაძლებელი ხდება წინასწარ მომარაგდეს საჭირო რაოდენობით ნედლეული და სხვა მასალები, რომ მუშაობის დროს მათ მისაზიდავად დრო არ დაიკარგოს. გარდა ამისა, მოგვარებულია აპარატების და მანქანა-მოწყობილობის რაციონალურად გამოყენება. მექანიკოსები სისტემატურად ამოწმებენ დანადგარებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მათს შეკეთებას. თუ მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა ესა თუ ის აპარატი, ყოველთვის რეზერვშია მისი შემცვლელი.

მესამე. ქარხნის ადგილობრივი ორგანიზაციები შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. საერთო საცხოვრებელში სისუფთავე და წესრიგია, ხოლო ქარხნის სასადილოში მუშებისათვის მაღალხარისხოვანი კერძები მზადდება. ამავე დროს ისინი უზრუნველყოფილი არიან კულტურულ-მასობრივი მომსახურებით. საქარხნო კლუბი, სადაც სისტემატურად აჩვენებენ კინოსურათებს და მუშაობენ თვითმოქმედი წრეები, მუშათა საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

კოლექტიური სტახანოვური შრომის საწარმოში კიდევ ბევრი სხვა რამ არის საგულისხმო. ამ საპატიო საქმეში საწარმოს დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე სისუფთავის და მუშათა შრომის პირობების საუკეთესოდ დაცვამ, წარმოების ნოვატორთა რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებამ, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებამ, მომჭირნეობის რეჟიმის წარმატებით განხორციელებამ, საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადების შექმნამ, თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებამ და ა. შ.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტიურ სტახანოვურ შრომაზე გადასვლა საყურადღებო მოვლენაა არა მარტო ქალაქისა და ოლქის, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით და ფაბრიკა-ქარხნებისა და ახალმშენებლობათა კოლექტივები მას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი



სურათზე: გორის მომავალი უნივერსალური მაღაზიის ფასადი (სურათი გადაღებულია საესკიზო პროექტიდან).

ახალი უნივერსალური მაღაზიის მშენებლობა გორში

გორი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში სტალინის პროსპექტზე დაწყებულია დიდი უნივერსალური მაღაზიისათვის შენობის აგება, რასაც გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო ტრესტი აწარმოებს. მიმდინარეობს მიწის სამუშაოები და დამხმარე სათავსების აგება.

უნივერსალური მაღაზია, რომელიც არქიტექტორ გ. ჩაჩანიძის პროექტით შენდება, ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება გორში. მაღაზიას ორი სართული ექნება.

შენობის მოცულობა განსაზღვრულია 16.000 კუბური მეტრით. იგი მოპირკეთებული იქნება მარმარილოთი და ეკლარის ქვით, დამშვენდება კლასიკური ქართული ეროვნული ორნამენტით, მაღაზიას ექნება რადიოსატრანსლაციო კვანძი და დამხმარე სათავსები. მაღაზიის ორივე მხარეს მოეწყობა სკვერები შადრევნებით.

მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მომავალ წელს.

„დეპუტატის ოთახი“

თბილისში სტალინის რაიონულ საბჭოსთან მოწყობილია „დეპუტატის ოთახი“, რომელიც ნაყოფიერ საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობას ეწევა. „დეპუტატის ოთახში“ ეწყობა დეპუტატების შეხვედრები და საუბრები ამომრჩეველებთან, აქვე მოწყობილია ამომრჩეველთათვის იურიდიული რჩევა-დარიგების ბიურო, გამოდის კედლის გაზეთი, სადაც ქვეყნდება ამომრჩეველთა და დეპუტატთა წერილები, სხვადასხვა ინფორმაცია, მასალები რაისაბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების, მუშაობის შესახებ და ა. შ.

ეს „დეპუტატის ოთახი“ მომსახურებას უწევს თბილისის საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოს 223 დეპუტატს და მათს ამომრჩევლებს. „ოთახმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა ამომრჩეველთა შორის. ყველას შეუძლია იქ მივიდეს, ნახოს თავისი დეპუტატი, გაუზიაროს მას თავისი შეხედულებანი, გაეცნოს მისი მუშაობის პროგრამას, საჭიროების დროს მიიღოს დახმარება.

ამას წინათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა სტალინის რაიონული საბჭოს „დეპუტატის ოთახის“ მუშაობის საკითხი, დამაკმაყოფილებლად ცნო იგი და წინადადება მისცა თბილისის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს ისარგებლონ სტალინის რაისაბჭოს „დეპუტატის ოთახის“ გამოცდილებით და მათაც მოაწყონ ასეთი „ოთახები“.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ბილეთის გამყიდველი ე. ვაშაკიძე მოხსნილია სამუშაოდან

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა № 65 მატარებლის „ახალ-ციხე-თბილისის“ ბილეთის გამყიდველს ე. ვაშაკიძის დანაშაულებრივ საქმიანობას. ე. ვაშაკიძე სისტემატურად ატყუებდა მგზავრებს და მათ ბილეთის ღირებულებაზე მეტ ფულს ახდევინებდა.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს. გზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილე ამხ. ლოლაძე რედაქციას ატყობინებს, რომ შემოწმებით წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ბილეთის გამყიდველი ე. ვაშაკიძე მგზავრების სისტემატური მოტყუებისათვის გზის სამმართველოს ბრძანებით მოხსნილია სამუშაოდან. ბრძანება გაეცნო რკინიგზის ყველა მუშაკს, რომლებიც მგზავრთა მომსახურების საქმესთან არიან დაკავშირებულნი.

„ბრეშები და პრემიები საგზაო მშენებლობის მოწინააღმდეგეს

რესპუბლიკურმა ჟიურიმ ამ დღეებში განიხილა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1951 წლის მეოთხე კვარტალის შედეგები. ჟიურიმ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა და პრემია 5.600 მანეთი მიანიჭა:

ალაზნის ხიდის მშენებლობას (სამუშაოთა მწარმოებელი ამხ. მუშტარაული), თეთრი წყაროს რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ბაგრატაშვილი) და მახარაძის რაიონს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ცხოიძე).

ხულოს სახელმწიფო თეატრის მდგომარეობა უნდა გაჯანსაღდეს

საბჭოთა თეატრი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი კერაა. ამ უაღრესად საპატიო ამოცანის შესრულება თეატრს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მთელი მისი კოლექტივი განუხრელად ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლებისათვის, ყოველი სპექტაკლის მაღალ-იდეურად მომზადებისათვის.

როგორ ასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანას ხულოს სახელმწიფო თეატრის კოლექტივი?

უკანასკნელი წლების მანძილზე თეატრმა მაყურებელს რამდენიმე კარგი სპექტაკლი უჩვენა. თეატრის კოლექტივი საკმაოდ ნიჭიერი და მზარდი მსახიობებისაგან შედგება, მაგრამ თეატრის კოლექტივის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად ვერ არის გამოყენებული.

თეატრში ადგილი აქვს საბჭოთა თეატრისათვის უცხო და მიუღებელ მოვლენას: დაცემულია შრომის დისციპლინა, გაბატონებულია ლოთობა, ძმაბიჭობა, მლიქვნელობა, ჭორიკანობა...

გამორკვევით დადასტურებულია, რომ თეატრის დირექტორი ი. ზოიძე, რომელიც ამჟამად მოსკოვში სარეჟისორო სკოლაში სწავლობს, მისი ახლანდელი შემცვლელი ს. ძიძაძე, მსახიობები თ. მელაძე, ე. ქონიაძე, ო. ლორთქიფანიძე და სხვები სისტემატურად თვრებოდნენ, ხშირად რეპეტიციებზე და სპექტაკლებზეც ცხადდებოდნენ მთვრალები, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობას. ამის გამო იყო რეპეტიციებისა და სპექტაკლების ჩაშლის მრავალი შემთხვევა.

თეატრის დირექტორი ი. ზოიძე მსახიობთა და თანამშრომელთა ერთ ჯგუფს განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს შტატით გათვალისწინებული მსახიობები არ ყოფნის, დირექტორმა ხელფასის გადიდების მიზნით ს. ძიძაძე სხვადასხვა დროს მხატვრისა და პირველი კატეგორიის მსახიობის თანამდებობებზე გააფორმა.

თეატრის ზოგიერთი მუშაკი ზოგჯერ ხულიგნურ საქციელსაც სჩადის. სამარცხვინო ქცევაში არაერთხელ ყოფილან შემჩნეული მსახიობები თ. მელაძე, ს. ძიძაძე. ი. ზოიძეს დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობის ხუთი წლის განმავლობაში მსახიობებისა და სხვა მუშაკებისათვის არაერთხელ მიუყენებია ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ეს საკუთარ თავზე უგრძვნიათ მსახიობებს ა. ჯორბენაძეს, ქ. კოპლატაძეს, ა. მელაძეს, თ. დათუაშვილს, თანამშრომელს ფ. დეკანაძეს და სხვებს. თეატრის დირექტორს ი. ზოიძეს, მის მოადგილე ს. ძიძაძეს, მსახიობებს თეიმურაზ და იაკობ მელაძეებს და ზოგიერთ სხვებს არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ სხვა მსახიობებთან.

დისციპლინის დაცემისა და მსახიობებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების შედეგია, რომ რამდენიმე თვის წინათ თეატრის დირექტორთან ჩხუბი მოუვიდა ერთ-ერთ მსახიობს, ნიჭიერ და თავისი საქმით დაინტერესებულ მუშაკს ლილი თურნავას. თეატრის დირექტორთან კონფლიქტი მისი თეატრიდან მოხსნით დამთავრდა.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პატიოსანი და საქმისმოყვარე მსახიობებით თეატრის დაკომპლექტებას. თეატრს ხშირად დირექტორის ან ს. ძიძაძის მოპატიჟებით მოევლინებიან ხოლმე სხვა თეატრებიდან დათხოვნილი მსახიობები. მხოლოდ ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ თეატრში მსახიობის საპატიო როლში სხვადასხვა დროს აღმოჩენილან თეატრისათვის სრულიად შეუფერებელი პირები. თეატრის მსახიობ ე. გალუსტოვას რომელიც წინათ გარდერობის გამგედ მუშაობდა ხულოს თეატრში, სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს; ამჟამად ე. გალუსტოვა ისევ თეატრის მსახიობად მუშაობს.

თეატრში არ მუშაობს სამხატვრო საბჭო. პიესებისა და როლების შერჩევა მხოლოდ დირექტორის ნება-სურვილით ხდება. არ ეწყობა პიესებისა და დადგმების კითხვა-გარჩევა. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას თეატრის რამდენიმე დადგმის, მათ შორის „თბილისელი ქალაშვილის“, „პლატონ კრეჩეტის“ და სხვათა დაბალი იდეურ-მხატვრული დონე. გასულ წელს თეატრმა მოამზადა სუსტი და რეპერტუარიდან ამოღებული პიესა „რად კვნესის სალამური“, რომელიც მხოლოდ ერთ საღამოს წარმოადგინეს. მისი დადგმა კი თეატრს რამდენიმე ათასი მანეთი დაუჯდა.

თეატრის შემოქმედებითს მუშაობაში ადგილი აქვს იაფფასიანი ხალტურის ფაქტებს. ყოვლად გაუმართლებელი იყო, მაგალითად, მიმდინარე წლის 12 იანვრის საღამოს რეპერტუარი. იგი დირექტორის მოვალეობის აღმსრულებლის ს. ძიძაძის მიერ იყო შედგენილი და მასვე მიჰყავდა. რეპერტუარი გადატვირთული იყო მოძველებული, იაფფასიანი და ზოგჯერ აპოლიტიკური ნომრებით.

თეატრის ხელმძღვანელობისადმი მლიქვნელობის მიტს არაფერს აკეთებს ადგილკომის თავმჯდომარე მსახიობი ვ. მელაძე.

სრულ უმოქმედობასა და უხერხემლობას იჩენს თეატრის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, თეატრის დირექტორის ბიძა შ. თავართქილაძე. პარტორგანიზაციის მდივანი რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკია და თეატრის იშვიათი სტუმარი. შ. თავართქილაძე თვითონ აღიარებს, რომ იგი თეატრის ამბებს ყველაზე ბოლოს იგებს.

მოსალოდნელი იყო, რომ ხულოს თეატრში შექმნილ მდგომარეობას უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ პარტიის ხულოს რაიკომი და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო, მით უფრო, რომ თეატრში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სერიოზული სიგნალები ჰქონდათ მიღებული. მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია.

საჭიროა გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული ხულოს თეატრში მდგომარეობის გასაჯანსაღებლად და მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიდი მეგობრობა

ორი წლის წინათ, 1950 წლის 14 თებერვალს, მოსკოვში ხელმოწერილ იქნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი — ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამ დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ პროგრესული კაცობრიობის ბელადი დიდი სტალინი და ჩინელი ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხალხთა მეგობრობას დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. რუსეთის რევოლუციურმა პროლეტარიატმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მონობის ბორკილებთან ერთად დაამსხვრია და უარყო ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის მეფისდროინდელი ტრადიცია. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ჩინეთთან და სხვა კოლონიურ ქვეყნებთან წინათ დადებული კაბალური ხელშეკრულებანი. საბჭოთა ხალხის მიერ მეგობრულად გაწვდილმა ხელმა აღაფრთოვანა მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი.

ჩინელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხი ყოველთვის ღიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა.

ჯერ კიდევ 1925 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „რევოლუციური მოძრაობის ძალები ჩინეთში აურაცხელია. მათ ჯერ არ უჩენიათ თავი როგორც საჭიროა. ისინი კიდევ იჩენენ თავს მომავალში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველები, რომლებიც ამ ძალებს ვერ ხედავენ და მათ ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ, ზიანს ნახავენ ამით“.

დიდი ბელადის წინასწარმეტყველება ახდა. რევოლუციური მოძრაობის აურაცხელმა ძალებმა ჩინეთში სრულყოფილად იჩინეს თავი. მათ დაამხეს გომინდანის რეაქციული მთავრობა, განდევნეს უცხოელი იმპერიალისტები, მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

ჩინეთის ძლევამოსილ სახალხო რევოლუციას დიდად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ. ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა რეაქციის ძალები მსოფლიოში. ამან ჩინელ ხალხს გაუადვილა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის არსებობა და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელმაც დაიჩარა ჩინეთის სახალხო რევოლუცია.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი, მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამხანაგი სტალინი. ამ მეგობრობას შეჰხარობდნენ ჩინელი პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწენი. ცნობილია, რომ დიდი დემოკრატი, ჩინელი ხალხის ბელადი სუნ იატ-სენი სიკვდილის წინ 1925 წლის 11 მარტს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „გეთხოვებით რა, ძვირფასო ამხანაგებო, მსურს გამოვთქვა იმედი, რომ მალე დადგება დღე, როცა სსრ კავშირი ძლიერი და თავისუფალი ჩინეთის სახით მიესალმება მეგობარსა და მოკავშირეს, და რომ მსოფლიოს ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში ორივე მოკავშირე ხელიხელჩაკიდებული ივლის გამარჯვებისაკენ“.

ეს დღე დადგა. ჩინელმა ხალხმა ბოლო მოუღო საუკუნეობრივ ტანჯვას, დაამსხვრია ბორკილები და შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირმა პირველმა დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, შემდეგ კი გააფორმა ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რითაც თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე საბოლოოდ განამტკიცა ორი დიდი ხალხის მეგობრობა და კავშირი. ეს კავშირი ამავე დროს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მთავარი პირობაა. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მოსახლეობა 700 მილიონს ანუ კაცობრიობის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს. მათი კავშირი და მეგობრობა ახალ ერას მოასწავებს კაცობრიობის ისტორიაში.

საბჭოთა ხალხის დიდსულოვნობას მოწმობს შეთანხმება ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ. ამ შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება — მომმე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, უსასყიდლოდ გადასცეს ჩანჩუნის რკინიგზის ერთობლივი მართვის ყველა თავისი უფლება და მთელი ქონება, რომელიც ამ რკინიგზას ეკუთვნის. გადაცემა უნდა მოხდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის დამლევისა. ამ შეთანხმებით საბჭოთა კავშირი მოვალეა თავისი ჯარები გაიყვანოს პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან. ჩინეთის სახალხო მთავრობას ქალაქ დალნში უსასყიდლოდ გადაეცა ყველა ქონება, რომელიც წინათ საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა. მას აგრეთვე გადაეცა საბჭოთა კავშირის კუთვნილი ყველა ქონება მანჯურიასა და პეკინში. სულ ჩინელმა ხალხმა მიიღო 70-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, 20 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, 363 საცხოვრებელი სახლი და მრავალი სხვა შენობა.

ხალხთა შორის მეგობრობისა და თანასწორუფლებიანობის სტალინურმა პრინციპმა გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებულ შეთანხმებაში, რომლის საფუძველზე საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აძლევს კრედიტს 300 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით.

ჩინელი ხალხის ბელადს მაო ძე-დუნს შესანიშნავ ნაშრომში „სახალხო დემოკრატიის დიქტატურის შესახებ“ აღნიშნული აქვს, რომ სახალხო-დემოკრატიულ ჩინეთს ნამდვილი მეგობრული დახმარება შეუძლია მიიღოს მხოლოდ ანტიიმპერიალისტური ბანაკისაგან, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ეს მოსაზრება ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა.

ამას წინათ ჩინურმა ჟურნალმა „ჟენსუიუეხამ“ გამოაქვეყნა ხან ტოფუს სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ უკანასკნელი „ორი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა მოამარაგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საჭირო მოწყობილობითა და მასალებით, რამაც არა მარტო ხელი შეუწყო მრეწველობის სწრაფად აღდგენას, არამედ იმის შესაძლებლობაც მოგვცა, რომ მწყობრში ჩაგვიყენებინა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ახალი ფაბრიკა-ქარხნები. საბჭოთა კავშირისაგან მიღებული სესხი ხელს უწყობს ჩინეთის სწრაფ ინდუსტრიალიზაციას“. საბჭოთა კავშირის დახმარებით იქმნება და ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც ჩინეთს წინათ არ ჰქონდა. ახლა ჩინეთში ამზადებენ რელსებს, სარკინიგზო ინსტრუმენტებს, მძლავრ ელექტრომოტორებს, ტრანსფორმატორებს. ჩინელი ხალხი იყენებს საბჭოთა ხალხის შრომის გამოცდილებას, სარგებლობს საბჭოთა მეცნიერების მონაპოვრით. ათასობით საბჭოთა სპეციალისტი უშუალოდ მონაწილეობს ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ჩინეთის მოსახლეობის 80-90 პროცენტი სოფლის მეურნეობას ეწევა. ამიტომ ჩინეთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმას. მიწის რეფორმა ახლა უკვე განხორციელებულია ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა 310 მილიონს შეადგენს. ჩინელი ხალხის დიდი ბელადის მაო ძე-დუნის განცხადებით, მიწის რეფორმა მთლიანად ჩინეთში წელს დამთავრდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე რაიონს.

მიწის რეფორმამ და თავისუფალმა შრომამ ხელი შეუწყო მოსავლიანობის გადიდებას. ჟურნალ „სახალხო ჩინეთის“ ცნობით გასულ წელს ბამბის მოსავალმა 17,8 პროცენტით გადაამეტა ომამდელი პერიოდის ყველაზე უხვმოსავლიანი წლის დონეს. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჰურის მოსავალი შარშან 17.4 პროცენტით აღემატებოდა 1950 წლის მოსავალს, ხოლო ბამბის მოსავალი — 70 პროცენტით.

ჩინეთის სახალხო მეურნეობაში სულ უფრო იზრდება მრეწველობის ხვედრითი წონა. ახლა მსხვილი მრეწველობის დაახლოებით 80 პროცენტი და მსუბუქი მრეწველობის 35 პროცენტი სახელმწიფოს ხელშია. აღდგენილია და მუშაობს რკინიგზის ხაზები, რომელთა სიგრძე 22.600 კილომეტრს აღემატება.

ჩინელი ხალხი გაბედულად აშენებს ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას. უდიდესი ყურადღება ექცევა განათლებას და ჯანმრთელობის დაცვას. დაწყებითს სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი შარშან 37 მილიონს აღემატებოდა. 10 მილიონი გლეხი სწავლობს საღამოს სკოლებში.

იფურჩქნება ახალი ჩინეთის კულტურა და ხელოვნება. აქაც თავს იჩენს და დადებით გავლენას ახდენს ორი დიდი ხალხის კავშირი და მეგობრობა. ჩინელი მოღვაწენი მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში და ეცნობიან სოციალიზმის ქვეყნის მიღწევებს, საბჭოთა კულტურის მოღვაწენი მოგზაურობენ ჩინეთში და უზიარებენ შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. ეს საზოგადოება ახლა 21 მილიონამდე წევრს აერთიანებს. დიდია ჩინელი ხალხის სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი. ჩინური ჟურნალი „გუნჟენი“ ამას წინათ წერდა: „ჩვენ გვიყვარს საბჭოთა კავშირი, რადგან ის ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობარია... საბჭოთა კავშირი ჩვენი მასწავლებელია... რომლის მოწინავე გამოცდილება ჩვენ უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ“.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა და ჩინელი ხალხის წარმატება მოსვენებას არ აძლევს ამერიკელ იმპერიალისტებს. მათ გააჩაღეს ომი მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ხელში ჩაიგდეს ჩინეთის კუნძული ტაივანი, მფარველობას უწევენ სამშობლოსაგან გაძევებულ გომინდანელ რეაქციონერებს, ამერიკული იარაღით აღჭურვილი ჩან კაი-შის დივიზიები გადაჰყავთ ბირმაში ჩინეთის საზღვართან და ემზადებიან აგრესიული ომის გაფართოებისათვის.

ომის ამერიკელმა გამჩაღებლებმა შარშან სექტემბერში სან-ფრანცისკოში ხელი მოაწერეს იაპონიასთან სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას და გააფორმეს ორმხრივი სამხედრო შეთანხმება. ისინი გამალებით შეუდგნენ იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას. პროგრესული კაცობრიობა გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა ამ ღონისძიებებს. სეპარატულ ხელშეკრულებას არავითარი ძალა არა აქვს, რადგან მას ხელს არ აწერენ იაპონიასთან ომის მონაწილე დიდი სახელმწიფოები — საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ ხელშეკრულებას არ ცნობენ ინდოეთი და ბირმა. აზიის ხალხებს მშვიდობა სურთ. ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები განწირულია ჩასაფუშავად.

მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, რომ ამერიკელ იმპერიალისტებს არ შეუძლიათ აზიის ხალხთა დაშინება. მათ მიერ გაჩაღებულმა აგრესიულმა ომმა კორეაში ათეული ათასობით ამერიკელი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეიწირა. ჩინელ მოხალისეთა დახმარებით კორეის სახალხო არმიამ მრავალჯერ დაამარცხა ამერიკელი ინტერვენტები. მიუხედავად ამისა, ამერიკელ იმპერიალისტებს არა სურთ შეურიგდნენ თავიანთი ავანტიურული გეგმების ჩაფუშვას, აუსრულებლად აჭიანურებენ სიზავო მოლაპარაკებას და ახალი ავანტიურებისათვის ემზადებიან.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოწრთობილ მშვიდობისმოყვარე ჩინელ ხალხს ძალა შესწევს საკადრისი პასუხი გასცეს გათავხედებულ აგრესორებს. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა კავშირი და მეგობრობა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების მთავარი პირობაა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის სახელზე გაგზავნილ მილოცვაში 1951 წლის 14 თებერვალს ამხანაგი სტალინი წერდა: „ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ხელშეკრულება კვლავაც ემსახურება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს“.

აკ. ჩავლეიშვილი

გერმანიის ერთიანობისათვის

გერმანიის ყოფილი რაიხსკანცლერის ვირტის სტატია ჟურნალ „დერ აუფბაუში“

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება, რომ გერმანიის ყოფილმა რაიხსკანცლერმა ოიზეფ ვირტმა ჟურნალ „დერ აუფბაუში“ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც კვლავ მოუწოდებს ბონელ პოლიტიკოსებს მოაწყონ სრულიად გერმანიის თათბირი გერმანიის გაერთიანების საკითხებზე.

„მისწრაფება სრულიად გერმანიის მოლაპარაკებისადმი უნდა აღფრთოვანებდეს ყველას, —წერს ვირტი,—სადაც მისწრაფებაა, იქ ორივე ნაწილის მშვიდობიანი გაერთიანების გზაც არის“.

ვირტი აღნიშნავს, რომ ბონის ოფიციალურ წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარების მისმა ცდამ „მარცხი განიცადა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩემთან შეხვედრისა ეშინოდათ“.

„ფედერალური პარლამენტის წევრებისადმი ჩემს მიმართვაში, — განაგრძობს ვირტი,—უკვე ვთქვი: გერმანელი ხალხი აღარ ეთანხმება ბონის მთავრობის პოლიტიკას. ამიტომ საჭიროა მოვუწოდოთ მთელ გერმანელ ხალხს საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს“. უეჭველია, რომ გერმანელი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი—ომისა და მშვიდობის საკითხი ფედერალურმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, როცა ნამდვილად საჭირო მიმართოთ მთელ ხალხს და რაც შეიძლება მალე მოვაწყოთ ახალი არჩევნები. დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნა ერთიანობის მიღწევის საშუალება არ არის. მისი მიზანია გაახანგრძლივოს გათიშვის მდგომარეობა. მაგრამ გათიშული გერმანია დიდხანს იქნება საფრთხე ევროპისათვის. ამიტომ უნდა განვახორციელოთ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება.

ბერლინში სწორედ იმისათვის ჩამოვედი, რომ გამომერკვია, რამდენად სერიოზულია აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკურ მოღაწეთა განზრახვები. ამ მიზნით ბევრ ვინმეს ვეწვიე. ის გარემოება, რომ მე კარლსჰორსტშიც გავეშალეთ, ვფიქრობ, მოამზადებს ფიალა აუკრავ დასავლეთს. მაგრამ სწორედ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სურვილისამებრ გავმართე მოლაპარაკება არმიის გენერალ ჩუიკოვთან და ელჩ სემიონოვთან. ორივემ პირდაპირ მითხრა: არც ერთი ჩვენგანი არ შეუშლის ხელს გერმანელ ხალხს, რომ საკუთარი ძალებითა და საერთო სურვილის თანახმად გაერთიანოს გერმანია. მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი ვეტოს არ გამოიყენებს.

მშვიდობისათვის მეგრძოლთა დასავლეთ გერმანიის კომიტეტის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, რომ 10 თებერვალს მშვიდობისათვის მებრძოლთა დასავლეთ გერმანიის კომიტეტმა თავის მე-6 პლენარულ სხდომაზე დიუსელდორფში მიიღო მიმართვა გერმანელი ხალხისადმი, სადაც ნათქვამია: მოსახლეობის ყველა ფენის მრავალი პროტესტი და მზარდი აღშფოთება ფედერალური კანცელარის ადეენაუერისადმი მოითხოვს, რომ მან გამოთქვას აზრი იმ დამღუპველ გარიგებათა გამო, რომლებიც დადო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების დროს და რომლებსაც იგი ხალხს უმალავს... ფედერალურ მთავრობას ატლანტიკის კავშირის მონაწილე ქვეყნებთან დადებულ სალიტმლო გარიგებათა შესასრულებლად განზრახული აქვს მიაწყოს არმიაში გაწვევა და შემოიღოს სამხედრო ბეგრის კანონი, რათა გერმანელი ახალგაზრდობა გადასცეს ატლანტიკის კავშირის არმიას ამერიკის უშიშროების სარდლობით.

ფედერალურ მთავრობას განზრახული აქვს ომის მიზნებს დაუქვემდებაროს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება და „საერთო ხელშეკრულების“ საშუალებით შეიყვანოს დასავლეთი გერმანია სამხედრო კავშირში. ამით შეუძლებელი ხდება გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადება, ხოლო ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს სიცოცხლის მსხვერპლად სწირავენ დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ გეგმებს.

ამრიგად, მთელი მსოფლიოს წინაშე მხილებულია აგრესიული განზრახვები, აგრეთვე ახალი აგრესიული ომის საწყისი პუნქტი და მთავარი დარტყმის მიმართულება. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ მეტიცება ომის შესახებ, თითქოს დასავლეთ გერმანიას მოელს აღმოსავლეთიდან თავდასხმის საფრთხე, სხვა არა არის რა, თუ არა ავრესიული განზრახვების სამაბი და შენიღბვა. ადენაუერის თვითნებური და დიქტატორული მოქმედება და მისი მოწოდება — ხალხი არ გაიღიზიანოთო, ცხადყოფს ხალხისადმი მის მტრულ განზრახვებს. მას ამნიეს ხალხის ძალა, რომელიც ჩაშლის საფრთხეს უქმნის მის გეგმებს.

ხალხში წინააღმდეგობის მოძრაობა, რაც ამ უკანასკნელ თვეებში გაძლიერდა, განსაკუთრებით გამოვლინდა რეფერენდუმის წინააღმდეგ ხალხის გამოკითხვის დროს პაციფისტურ გაერთიანებათა მრავალი მოწოდებით, მოწინავე ადამიანების, ჯგუფებისა და მომდინარეობების აზრებითა და განცხადებებით. დიდებისა და ქალების დემონსტრაციებმა, საწარმოებში, შახტებსა და ნავსადგურებში პროტესტებმა და გიფიცვებმა, განსაკუთრებით წინააღმდეგობის მოძრაობამ ახალგაზრდობაში სამხედრო ბეგრისა და არმიაში სამსახურის წინააღმდეგ, უკვე დაანახვა ადენაუერის მთავრობას, რომ მისი ფარისეველური განცხადება მშვიდობიანი განზრახვების შესახებ მხილებულია, ხოლო ომის მის პოლიტიკას ხალხი ერთსულოვნად უარყოფს. დასასრულ მშვიდობისათვის ბრძოლის დასავლეთ გერმანიის კომიტეტი მოუწოდებს ყველა გერმანელს დიდრაზმონ, რათა ორგანიზებულად იბრძოლონ მშვიდობისათვის, იბრძოლონ ომის მოსამზადებლად მიმართული ყველა მოქმედების წინააღმდეგ, სამხედრო ბეგრის შემოღების ცდების წინააღმდეგ, ადენაუერის მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს გაძლიერდეს ბრძოლა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, მთელ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადებისა და დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

ამერიკის საჰაზეერო ორგანიზაციები დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ცეიტუნგი“ იუწყება, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა მიდლტონმა ბონში უცხოელი ჟურნალისტების წინაშე კომენტარი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას დასავლეთ გერმანიაში განთლების დარგში ინფორმაციისა და გაცვლის 15 ბიუროს შექმნის შესახებ. მიდლტონმა აღიარა, რომ ამ პროპაგანდისტული აპარატის შექმნა გამოიწვია დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მტრული განწყობილების ზრდამ“.

მიდლტონის სიტყვით, ამ ბიუროებმა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უმაღლეს ინსტანციებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის განწყობილების შესახებ. გარდა ამისა, მათი ამოცანაა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის პროპაგანდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს ამ გზით ამაღლოს თავისი ავტორიტეტი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის თვალში. პროპაგანდის ბიუროო ამ მიზნით კონტროლს გაუწევს აგრეთვე დასავლეთ გერმანიის პრესას და რადიოს.

ამ პროპაგანდისტულ აპარატს უხელმძღვანელებს ფსიქოლოგიური ომის ვაშინგტონის სამმართველო.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის საკითხზე. „ევროპის არმიის“ საფრანგეთი იმპერიალისტები, როგორც ცნობილია, ამბრიბენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

სხდომაზე „საპროგრამო“ მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საფრანგეთის მთავრობას თითქოს არ შეეძლო არ დათანხმებულიყო ამ არმიის შექმნაზე და თითქოს ეს არმია საფრანგეთის უშიშროების დაცვის ინტერესებს ემსახურება.

ამტკიცებდა რა, რომ საფრანგეთის მთავრობამ თითქოს „შეიძლებლად მიიჩნია ნება დაერთო გერმანიისათვის შეიარაღებულიყო“, შუმანმა ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მმართველებს „არ შეეძლოთ დაამყოფილებულიყვნენ ამ უარყოფითი პოზიციით ისე, რომ ამით არ გამოეწვიათ მოკავშირეთა მძიმე გათიშვა“. ამით შუმანმა არსებითად აღიარა, რომ „ევროპის არმიის“ საკითხებში საფრანგეთის მთავრობა ხელმძღვანელობდა არა საფრანგეთის უშიშროების მოსაზრებით, არამედ საფრანგეთის „მოკავშირეების“, ე. ი. ამერიკელი იმპერიალისტების ინტერესებით. შუმანმა განაცხადა, ამბრძოლონ ომის მოსამზადებლად მიმართული ყველა მოქმედების წინააღმდეგ, სამხედრო ბეგრის შემოღების ცდების წინააღმდეგ, ადენაუერის მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს გაძლიერდეს ბრძოლა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, მთელ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადებისა და დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს და ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლიესინმანელთა ჯარებს.

დღეს აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში საზენიტო არტილერიის ნაწილებმა დ« მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმეფის 6 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც აღმოსავლეთ სანაპიროზე თავდასხმებში მონაწილეობდნენ და მზეცურად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

„ამერიკელები განზრახ აჭიანურებენ კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკებას“

ჰაგა, 12 თებერვალი. (საკდესი). ჰოლანდიის საგაჭრო წრეების გაზეთი „ალგემეინ ჰანდელსბლადი“ გაბრაზებით წერს ომის შესახებ, რომ კორეაში გაჭიანურდა დაზავებზე მოლაპარაკება. გაზეთი აღნიშნავს, რომ კორეაში ჯარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით იბრძვიან, ომის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას კი მხოლოდ ამერიკელები აწარმოებენ. „ალგემეინ ჰანდელსბლადი“ წერს: „კორეაში მშვიდობის საკითხის გადაწყვეტა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების საქმე კი არ არის, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა. ნათელი ხდება, — აღნიშნავს დასასრულ გაზეთი,—რომ ამერიკელები განზრახ აჭიანურებენ დაზავებაზე მოლაპარაკებას, მათ სურთ ომი გაგრძელდეს“.

ჭრუმენის წერილი კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 12 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს მიმართა წერილით, რომლითაც დაინებით მოითხოვს, რომ კონგრესმა ორი წლით კიდევ გაახანგრძლივოს კანონი ეგრეთწოდებული „თავდაცვისათვის“ წარმოების შესახებ.

ტრუმენის სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მზადება მოითხოვს, რომ შეერთებული შტატები კვლავ უზრუნველყონ „სამოქალაქო წარმოების შეკვეცას“. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში არის ფაქტორები, რომლებსაც „ყოველთვის მიმდინარე თუ მომავალ წელს შეუძლათ ერთობლივად დაანთონ ახალი საინფლაციო ხანძარი მთელ ეკონომიკაში“.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია, ნათქვამია წერილში, „ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გარღვეული შეკვეცა, რადგან ჩვენ იძულებული გავხდით შეგვემცირებინა ზოგიერთი ასეთი საქონლის წარმოება, როგორიც არის, მაგალითად, საოჯახო საგნები და ავტომობილები და იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სწრაფად გავაფართოოთ ისეთი საქონლის წარმოება, როგორიც ქვების პროდუქტებია“.

ჯუნისის ამბები

ფრანგი იმპერიალისტები ტონინელ პატრიოტებს აწიოკებენ

პარიზი, 12 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ტონინის სანაპიროზე გრძელდება საფრანგეთის ჯარების სამხედრო ოპერაციები. სფაქსში, გაბესში, მოკინნში, მახდიასა და სხვა ქალაქებში ბევრი დაჰატიმრეს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლები თავიანთ „მძეულად“ თვლიან ყველა დაპატიმრებულ პატრიოტს.

მღვინარე ჰოს ხეობის რაიონში წყალდიდობის შედეგები

ჰანოი, 12 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ქვენეგოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან მყოფმა იტალიის წარმომადგენელმა შემდეგი ცნობები მოიყვანა მღვინარე ჰოს ხეობაში წყალდიდობის შედეგების შესახებ: დაიღუპა 273 კაცი, უსახლკაროდ დარჩა 223 ათასზე მეტი კაცი. წყალდიდობით გამოწვეული ზარალი შეფასებულია 175 მილიარდ ლირად, უმთავრესად მოსავლის მოსპობის გამო. გარდა ამისა, დაიღუპა 5 ათასი სული პირუტყვი და 400 ათასი ფრთა შინაური ფრინველი.

ბრაზილიის ამბები

ბრაზილიის ეროვნული ბანკის ინფორმაციით

ბუენოს-აირესი, 12 თებერვალი. (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ბრაზილიის ბიუჯეტის ნაკლოვანებამ 1951 წლის ბოლოს 2 მილიარდ 300 მილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია. ეს ნაკლოვანება ბრაზილიის ეროვნული ბანკის ბიუროს ინფორმაციით,